1877—1897

№ 197

სამშაბათი, 23 სექტემბერი, 1897 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

# ივერია

№ 197

სამშაბათი, 23 სექტემბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

ქართულის თეატრის ამხანაგობის გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ იგი დამდეგ სეზონისათვის **იწვევს** ყველა **სცენის მოყვარეთ**, რომელნიც მოისურვებენ ქართულ თეატრში სამსახურს. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამგეობის წევრს **პავლე ყიფიანს** ყოველ დღე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში.

ამხანაგობის გამგეობა აგრეთვე სთხოვს ყველას, ვისაც-კი ორიგინალური, გადმოკეთებული, ანუ გადმოთარგმნილი პიესები აქვს, თავისის პირობებით წარმოადგინოს ამავე ადრესით. (10—6.—9)

ქართველ-ქალთა
## ამხანაგობის
## სახელოსნო-სამკერვალო

ძველის ბინიდგან ახალში გადავიდა, ბარიატინსკის ქ., ფედოროვის სახლი, № 10, „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისა და მთავარ-მართებლის თანაშემწის სახლის შუა.

მსურველთ აქვე შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ მოსწავლეებად;

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს. (5—უ.—4)

### მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა სტავროპოლის ყაზახთა იუნკრის სასწავლებლის დროებით მასწავლებელი, პოდპოლკოვნიკი ბარათაშვილი—კავკასიის ქვეითის პირველ ზურგის ბრიგადის გამგეობის შტაბ-ოფიცრად.

გამწესებულ იქმნა: აზნაური გასილდუარსაბის ძე კორინთელი—ტფილისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელედ; იასონ ნიკოლოზის ძე გოგრიჭიანი—ონის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელედ და ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფ. კარის-ყურეს მცხოვრებელი ფილიპე სიმონის ძე ბურჭულაძე—ახალციხის სამაზრო ხაზინის კანცელარიის მოხელედ.

## ახალი ამბავი

—

*** 20 სექტემბერს ქართულის დრამატიულის საზოგადო კრება არ შესდგა, რადგანაც საკმაო რიცხვი წევრებისა არ დაესწრო. კრება გადაიდო 4 ოქტომბრისათვის.

*** გუშინ წინ, 21 სექტემბერს, სათავად-აზნაურო თეატრში ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა საქველ-მოქმედო აზრით გუნიას მიერ გადმოკეთებული სამ-მოქმედებიანი კომედია «ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“. კომედიის შემდეგ დივერტისმენტი იყო. კომედიაში ჩვეულებრივ კარგი იყო ბ-ნი ვ. აბაშიძე. საზოგადოებას ძალიან მოეწონა და ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა დივერტისმენტში მონაწილენი გრ. აბაშიძე, არ. ახნაზაროვი, ა. აღამიძე და ბ ნი მერკვილაძე. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო.

*** თავადის კ. ი. მუხრან-ბატონისა და კერძო ვექილის პლიუშჩევსკის საქმე, როგორც გვაცნობებენ, 2 ოქტომბრისათვის არის დანიშნული ტფილისის ოლქის სასამართლო სამოქალაქო განყოფილებაში.

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ დღეებში ქუთაისის სადგურის კასსიდგან ვიღამაც ფული მოიპარა. ეხლა, როგორც „გ-ზ. ახ. მიმ.“ იუწყება, დაკარგული ფული უპოვნიათ სადგურის ერთის მოხელის ლეიბში ჩაკერებული.

*** მიწად მოქმედების სამინისტროს პროექტი წარუდგენია სახელმწიფო საბჭოს წინაშე მისდა დასამტკიცებლად ქ. ბაქოს სამთო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

*** გორის მაზრის სოფ. პიცესში ყველანი ოსები არიან დასახლებულნი თავად ა. ი. ჯავახიშვილის მიწაზედ, რომელიც იჯარით აქვთ აღებული. მოიჯარადრე ოსები წელიწადში 600 მანეთს იხდიან. ამ უკანასკნელ დროს მოიჯარადრეებსა და მემამულეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ეს უთანხმოება იმდენად გამწვავდა, რომ თავადმა ჯავახიშვილმა ხოვლედგან ქართველების გადმოსახლება მოინდომა, ხოლო ოსებს გამოუცხადა,—სხვაგან გადასახლებულიყვნენ. მაშინ ოსებმა უპასუხეს: ჩვენ, მოიჯარადრები-კი არა, მამულის მესაკუთრეები ვართო. გარდა ამისა უარი განაცხადეს იჯარის ფასის 800 მანეთის გადახდისა, მაშინ როდესაც ხოვლელებმა 1000 მანეთი შეაძლიეს თავადს ამ მიწის იჯარად. ამ ამბავმა კარგა ხანი გასტანა და ბოლოს თავადი ჯავახიშვილი იძულებული გახდა სასამართლოსთვის მიემართა და ეთხოვნა ოსების გადასახლება. სასამართლომ შეიწყნარა თავადის თხოვნა და აღმასრულებელი ფურცელი მისცა. ოსებმა საჩივარი დროზედ ვერ განაახლეს და ამიტომ უნდა უეჭველად გადასახლდნენ თავ. ჯავახიშვილის ადგილებიდგან. ეხლა ოსებს გუბერნატორისათვის მიუმართავთ და უთხოვნიათ, როგორმე [illegible] ნაო. გუბერნატორმა თავისის მხრივ გორის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლსა სთხოვა, რაიმე დახმარება აღმოუჩინეთ გლეხებსაო. რით გათავდება ეს საქმე, ჯერ არავინ იცის. („კავკაზ“.)

*** შაბათს, 20 სექტემბერს, „ევროპის“ რესტორანში, ღორის მელიქოვის ქუჩაზედ, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებელს ივანე კობერიძეს უცაბედად რევოლვერი გაუვარდა წმენდის დროს და ტყვია მარჯვენა ხელში მოხვდა. კობერიძე იარაღის გაუფრთხილებლად ხმარებისათვის პასუხის გებაშია მიცემული.

*** ვორონცოვის ქუჩაზედ 19 სექტემბერს, საღამოს რვა საათზე, თამბაქოს ერთის ქარხნის მუშებმა მოჰკლეს თავიანთი ამხანაგი ბაბო ზაქაროვი. აი როგორ მოხდა თურმე ეს საქმე: ზაქაროვს გზაზე შეხვდნენ სამი ამხანაგი და საყვედური უთხრეს: „რად მუშაობ ქარხანაში, როდესაც ყველამ თავი დავანებეთო!“ შეჰყვნენ ლაპარაკს და ჩხუბიც აუტყდათ; ერთმა მუშამ იშიშვლა ხანჯალი და მუცელში ჩაჰკრა ზაქაროვს; საბრალო ზაქაროვი იქვე წაიქცა: მკვლელმა ორგან კიდევ დაჰკრა ხანჯალი. შემდეგ სამნივე გაიქცნენ და სადღაც მიიმალნენ. ზაქაროვის ყვირილზე ხალხი მოგროვდა, მაგრამ ავაზაკების შეპყრობა ვეღარ მოასწრეს. ზაქაროვის ცხედარი მიხეილის სავადმყოფოს საანატომიო თეატრში წაასვენეს.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება უკვე გაემგზავრა სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად ახალციხესა და ახალ-ქალაქში. ოლქის სასამართლოს ორსავე ქალაქში 22 საქმე აქვს დანიშნული განსახილველად. ახალციხეში დარჩება 25 სექტემბრიდგან 2 ოქტომბრამდე, ხოლო ახალქალაქში—6—10 ოქტომბრამდე.

*** კახეთის ათის სოფლის საზოგა- [illegible] მო-მაჩხაანისა, ბოდბის-ხევისა, მირზაანისა, არბოშიკისა, ჯუგაანისა, ოზაანისა, საქობოსი, მაშნაარისა და მაღაროსი, ოქმით დაუდგენიათ, რომ თითოეულმა კომლმა გარდაიხადოს 50 კაპ. და ამ ფულით დაარსდეს ერთ-ერთ ამ სოფელთაგანში ავადმყოფთა დასაწენი ბინაო.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოში უკვე წარუდგენიათ საბრალმდებლო ოქმი თავ. ნიკ. დიასამიძის მოკვლის გამო. ამ საქმით პასუხის გებაში არიან მიცემულნი: სოფ. ბრილის მცხოვრებნი ბესო იმერლი-

## ფელეტონი

—

### გიმნაზიის დაარსება ბათუმში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

როგორც დეპეშითაც გაცნობეთ, 14 სექტემბერს ბათუმში დიდის ამბით აკურთხეს ბათუმის კლასიკურ გიმნაზიის შენობა და გამოცხადდა იქვე, რომ მეორე დღესვე უნდა დაწყებულიყო სწავლა.

რა თქმა უნდა რომ ბათუმელების თავიანთ დიდი ხნის ნატვრის აღსრულებას ყველანი აღტაცებით მიეგებებოდნენ, მით უმეტეს, რომ მათდა სასახელოდ იმათმა დაუღალავმა შრომამ და გულ-უხვმა შეწირულებამ უნაყოფოდ არ ჩაიარა და მისი ნაყოფი დღეს იმათს სიამაყეს შეადგენს.

ბათუმელების საერთო მოქალაქობრივ დღესასწაულისათვის ქალაქის მოურავის ბ-ნ ასათიანის მიერ ადრევე საპატიო სტუმრებად მოპატიჟებულნი იყვნენ ასზედ მეტი სხვა-და-სხვა წოდების, უწყებისა და ხელოსანთა წარმომადგენელნი, რომელთა რიცხვში ყოფილან აგრეთვე მეზობელ ქალაქების საპატიო კაცნიც.

დილა თუმცა დიდის ავდრით დაიწყო, მაგრამ თითქო მზესაც-კი უნდოდაო ბათუმის საერთო მხიარულებაში მონაწილეობის მიღება,—დილის ათს საათზედ სრულიად გამოიდარა, სამაგიეროდ აღელვებული ზღვა-კი ღრიალით ბანს აძლევდა მგალობლებს და ტალღებით თაყვანსა სცემდა ბათუმელების მომავალ სამეცნიერო ტაძარს, რომელიც ბათუმის ზღვის ერთ მშვენიერ პირად არის აგებული, ქალაქის საუკეთესო ნაწილში.

12 საათზედ სადღესასწაულოდ მოწყობილთ დაიწყეს მოსვლა; მოსულ სტუმრების რიცხვი აღემატებოდა ოთხმოცს, რომელთა რიცხვში ერივნენ გაზეთების თანამშრომლებიც.

ადგილობრივ მართლ-მადიდებელ ეკკლესიის დეკანოზმა მ. რაცკევიჩმა კურთხევის დაწყებამდე წარმოსთქვა დროსა და გარემოების შესაფერი სიტყვა, რომლითაც დამსწრეთ მოაგონა თუ რა დიდ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო ის ნაწილი ბათუმის საზოგადოებისა, რომლის წევრნიც იძულებულნი იყვნენ თავიანთის შვილებისათვის საშუალო განათლება მიეცათ და ბათუმში ამ ნაირის სასწავლებლის უქონლობის გამო ყოველნაირ ვაებაში ჩაცვივნულნი, თავიანთი ნორჩი შვილები თუ ძმები, უცხო ქალაქსა და უცნობს ოჯახში მარტო ღვთის ანაბარად უნდა ეწანწალებინათ, სადაც ბევრნაირი განსაცდელი მოელოდა ბავშვებს. ამნაირი წარმოუდგენელი გაჭირვებაო, სთქვა მამა დეკანოზმა, „კარგა შეიგნეს ბათუმის მოქალაქეთა წარმომადგენელთ, რომლების დაუღალავმა შრომამ და გულუხვმა შეწირულებამ დასძლია ყოველ-ნაირი გაჭირვება და დღეს მოგვეცა საშუალება თქვენთან ერთად ვიდღესასწაულოთ მეცნიერების ტაძრად წოდებულ დარბაზშიო“. გაიხსენა, რას წარმოადგენდა ბათუმი ოციოდე წლის წინად ოსმალოთა ხელში და შედარებით მცირე დროს განმავლობაში რანაირად აჰყვავდა ბათუმი. ამის მიზეზად დაასახელა: „რუსეთის მთავრობის მიერ მისის ერთგულ ქვეშევრდომთა საკეთილდღეოდ დაუღალავი შრომა და ქალაქის თვითმართველობის ნაყოფიერი წინ დახედული მოქმედება, რომელთა შორის ბ-ნს ასათიანს და მასთან ერთად საბჭოს მიერ პეტერბურგში გაგზავნილ დეპუტაციას განსაკუთრებული შრომა მიუძღვის და განსაკუთრებულივე მადლობა უნდა ეძლევნათო!“ ბოლოს დასძინა მამა დეკანოზმა რაცკევიჩმა: შევთხოვოთ თქვენთან ერთად უზენაესს მაცხოვარს, რომ ჩვენ, მშობლებს, გავგმართლებოდეს დიდი იმედი და გამოცდილებით და პატიოსნებით აღსავსე ბატონი დირექტორი გიმნაზიისა თავისის ღირსეულის თანამშრომლებით მუყაითად და სიყვარულით შესდგომოდნენ მძიმე მოვალეობასაო.

შემდეგ გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი რამდენჯერმე განმეორებულის მრავალ-ჟამიერით, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის და მათის სახლობის დასაცველად, რის შემდეგაც ბ-ნმა ასათიანმა ჩვეულებრივის პირწყლიანობით სთქვა:

„დღევანდელის დღიდგან, რომელსაც წინ უძღვოდა საუფლო ლოცვით გარდახდილი სამადლობელი პარაკლისი, იწყება განხორციელება ბათუმის საზოგადოების გულითადის ნატვრის დასაწყისისა, ნატვრისა, რომელიც ღირსეულად დაცული იყო მათის წარმომადგენლების მიერ! მიუხედავად იმისა, რომ საქმის განხორციელებას სხვათა შორის გზას ულობავდა ერთის მხრივ ხელ-მოკლეობა და მეორეს მხრივ სხვა-და-სხვა აზრი სასწავლებლის სახის შესახებ, რომლის დაარსებასაც ქალაქი ოთხწელიწადზედ მეტია შუამდგომლობდა, მაინც იგი დღეს განხორციელდა!.. მისის მომავალის ბედის მართვა მიენდო პატიოსნებით განთქმულსა და სწავლა-განათლების საქმეში ჭეშმარიტად დახელოვნებულ კაცს, ასე რომ გიმნაზიის არსებობა უკვე უზრუნველ-ყოფილია. უზრუნველ-ყოფილია იგი მოსწავლეების მხრივაც, რომლებიც პირველსავე დღიდგან ისე მიესივნენ გიმნაზიას, როგორც ფუტკარი სკას! ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა მოვულოცო ბათუმის საზოგადოებას მათის ცხოვრების ერთის საუკეთესო და შესანიშნავის წადილის განხორციელება! მოვულოცო ამასთან იმათვე მათ და მიერ მონიჭებული ახალი წყალობა, რომელსაც ჯერ მოკლებულნი არიან რუსეთის სამეფოსთან უკანასკნელად შეერთებული ყველა ქალაქები“.

ბ-ნის ასათიანის პასუხად გიმნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, 25 წლისა, სარდო ქართველიშვილი, 21 წლისა, გაბო იმერლიშვილი, 25 წლისა და ლექსო ჩუბინიძე, 24 წლისა. ყველანი გორის საპატიმროში არიან დამწყვდეულნი.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას განზრახვა აქვს 4 ოქტომბერს სოფელს ტეძისში, სად. ხაშურსა და ბარბარინოს შუა, გორის მაზრაში, გამოსცადოს ახლად გამოგონილი სამეუნეო იარაღები: გუთანი, სახნისი, ფარცხი და სიმინდის საღერღი მანქანა. სიმინდის საღერღი მანქანა ჯერ ამის მეტად არ გამოუცდიათ კავკასიაში. სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენლებად ამ გამოცდას დაესწრებიან აგრონომი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ბ. სტეცენკო.

## სვირი და ეხლანდელი მისი ვითარება

სოფელი სვირი მთა-გორიანი ადგილია, სადაც სიმინდისა და სხვა-და სხვა ჰირნახულის მოყვანა იმდენად ხელ-საყრელი არ არის, და ამიტომ, როგორც მოგეხსენებათ, აქაურნი მკვიდრნი უფრო მომეტებულად მევენახეობასა და ღვინის მოყვანას მისდევდნენ. სულ ყველგან ამ სოფელში, სადაც კი გაიხედავდი, გაშენებული იყო ვენახები. ღვინოც კარგი დგებოდა, მაგრამ ეს ექვსიოდე წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც აქ ვენახის ძირის მჭამელი ფილოქსერა გვეწვია და ეს ვენახის წალკოტები თანდათან გაანადგურა. ეხლა რომ სვირში მიხვიდეთ, სადღა დაინახავთ იმ თვალ-საჩინო სურათს, როგორსაც ჰნახავდით ამ ექვსის წლის წინად. ამის მაგიერ მხოლოდ აქა-იქ თვალს მოჰკრავთ ფერდობებზედ ქლექ მორეულს ვენახებს, რომელნიც დღეს თუ ხვალ მთლად აღიგვიან დედა-მიწის პირისაგან. მაშინ რაღა უნდა [illegible]

აქამდე აი, ამ ღვინით, კარგად იყო თუ ავად სული ედგა ჩვენს სოფელს: არ იქნებოდა ისეთი ღარიბი მოსახლე, რომ ექვსი-შვიდი საპალნე ღვინო არ გაეყიდა წელიწადში; მდიდარი-კი ხშირად 40—60 საპალნესაც გაჰყიდდა ხოლმე. აღებული ფულით ისტუმრებდნენ სახელმწიფო გადასახადს, მღვდლის დრამას, მასწავლებლისა და ფოსტის ფულს და აკმაყოფილებდნენ ოჯახის და სხვა-და-სხვა საჭიროებას. დღეს ჩვენი სოფელი სულთმობრძავს ადამიანს მიაგავს. არასოდეს არ ყოფილა აქ ასე გასაჭირი ფულის შოვნა, როგორც დღეს; წრეულს, მაგალითად, წარსულის წლის მღვდლის ფული და სახელმწიფო გარდასახადი დღესაც ვერ მოუშორებიათ. საწყალ გლეხებს ქვაბს, თუნგს, ტაშტს და ხშირად ხარსაც-კი ართმევენ სოფლის მოხელენი და ემუქრებიან, ყველაფერს გაგიყიდით, თუ გადასახადის ფული არ იშოვეთო.

— რა ვქნა, ახლა ვერ გიშოვნეთ, მადროვეთ პაწია ხანი; ვეცდები, ურიის ვალს ევიღებ, ოღონდ ხიზაკეულობას ნუ გამიყიდითო, ეუბნება გამწარებული გლეხი.

რა ჰქნას საწყალმა გლეხმა? დადის ფულის საშოვნელად, მაგრამ სად იშოვის, როდესაც ყველანი ერთს ტაფაში იწვიან. ბოლოს მიდის ერთ შეძლებულ გლეხთან, რომლის მსგავსნი შეძლებულნი ამ ჟამად ერთი-ორი თუ მოიპოვება ჩვენში, და სთხოვს: „ჩემო ბასილა, თუ ღმერთი გწამდეს, ერთი თუმანი მასესხე და, თუ გნებავს, ერთი ორად დამაწერე კისერზეო“. ის, რასაკვირველია, პირველად გაჯანჯლდება, მაგრამ ბევრის ხვეწნა-მუდარის შემდეგ გლეხის მხრივ, ინებებს წარმოსთქვას თვისი „მრავალ-აზროვანი და ფრიად მანუგეშებელი“ სიტყვა: „კარგი, კარგი! ახლა არა მაქ ხელში, მარამ ხვალისთვინ გიშოვნიო; მოდი ხვალ, მოიტანე ვექსილის ქაღალდი და თან მეიყვანე დამწერიცაო“. მეორე დილას მოდის გლეხი, მიაქვს ვექსილის ქაღალდი და თან მიჰყავს დამწერიც. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შეძლებულმა გლეხმა, ცოტად თუ ბევრად, მაინც იცის ახალი კანონი ფულის გასესხების შესახებ; იმან იცის, რომ თუ 10 კაპ. ზევით აიღო სარგებელი, ცუდი დღე დაადგება. ამიტომ თამასუქის ქაღალდში თუმნის მაგიერ ოც მანეთს სწერს, სარგებლად უწერს 10 კაპ. (აქამდე $12^1/_2$ უწერდა).

გახარებული გლეხი-კი მიდის მოხელესთან და სიხარულით ეუბნება: „ალექსი, ფული ვიშოვნე და ჩემი რიხ-რახი დამანებეო“. ისიც ეთანხმება და ანებებს. ახლა ამ გლეხის სიხარულს ხომ საზღვარი აღარა აქვს; ის კი არ იცის საწყალმა, რა ბედი მოელის, როგორ უთხრის სამარეს ახალის ცხოვრების ჩარჩი-წურბელა. ჰგონია, ვადაზედ მივუტან ფულს და 10 კაპ. დამჯერდება სარგებლადაო და ამით მორჩა და გათავდაო. მაგრამ სულ სხვა გამოდის: მოვიდა დრო, ვთქვათ, იშოვნა გლეხმა ფული თვისი ოფლითა და ნაღვაწითა, მიაქვს თავისს მევალესთან და რას ჰხედავს? მევალე ეუბნება: „ოცი მანეთი გიწერია ვექსილის ქაღალდში და მისი სარგებელი 10 კაპ. ანგარიშით მომეცი თვეშიო; თუ მომცემ 20 მანეთის სარგებელს თუმანს ევიღებ თავნად და ვექსილსაც დავიბრუნებ და, თუ არა, უნდა გიჩივლო, და იცოდე ოცი მანეთი და მისი სარგებელიც გადაგხდებაო“. რაღა გაეწყობა, გლეხი უნდა გაიქცეს სადმე, რომ სარგებელი შეავსოს და, თუ ვერ შეავსო, ვაი მისი ბრალი. ასეთი ჩარჩები წარმოშობა ცხოვრების ახალმა ვითარებამ. მერე, ეს ჩარჩები ვინ არიან?! ისევ გლეხები. დიახ, ისევ ის გლეხები, რომელნიც ამ ექვსის წლის წინად გვერდში უდგნენ ჩვენს ეხლანდელ დაქვეითებულს გლეხობას. აი ეს არის, ჩემო მკითხველო, სატირალი და სავალალო!

ამ გვარ განსაცდელშია ჩავარდნილი დღეს ჩვენი სოფელი და ეხლა ეჭირვება მშველელი ხელი, რომ გამოიყვანოს ამ მდგომარეობიდგან. „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას მე გიჩვენებო“, ამბობს ანდაზა და მართალიც არის. დაბა ყვირილას ქვემოთ არის „საქარის სანერგე“, სადაც, სხვათა შორის, გაშენებულია ამერიკული ვაზი, რომელიც საუცხოვო სანახავია და, იმედია, შემდეგში სასარგებლოც იქნება. ეს სანერგე ახლოა სვირთან. სვირელები დადიან აქ და, რომ დაინახეს ეს ვენახები, თითონაც აღძრათ სურვილი ამ გვარის ვენახების გაშენებისა და შარშანვე მიჰყვეს ხელი იმის გაშენებას. თუ სვირელები მხნედ განაგრძობენ ამ ფრიად საგულისხმო საქმეს, მაშინ სვირში ისევ მალე გაშენდება ვენახები, სვირი ნივთიერად ისევ წარმატებაში შევა. ხოლო თუ ნივთიერი წარმატება ხელს უწყობს და თუ სასურველიცაა, მაშინ იგი ადვილად დაადგება გონებრივად წარმატების გზაზედ. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ერთმა ჩვენმა მამულიშვილთაგანმა განიზრახა თხოვნა შეიტანოს და იშუამდგომლოს მეღვინეობის სასწავლებლის დაარსების შესახებ სვირში. იმედია, რომ თავისს სიტყვას არ უმტყუნებს და განზრახვას განზრახვად არ დასტოვებს.

ახლა იკითხეთ სწავლა-განათლების საქმე. სვირში იყო დაარსებული ორ-კლასიანი (და ოთხ-განყოფილებიანი) სამინისტრო სკოლა. ამ სკოლას, ცოტად იყო თუ ბევრად, მოჰქონდა სარგებლობა სოფლისათვის. მაგრამ უფრო მეტს სარგებლობას მოუტანდა სოფელს, სწავლის საქმე რომ კარგს ნიადაგზედ ყოფილიყო დაყენებული, რაიც მასწავლებლების საქმეა. მათ შეეძლოთ სხვა-და-სხვა გონებრივი საზრდო მიეწოდებინათ მასწავლებლებისათვის, ხოლო ამის მაგივრად რას ვხედავდით? ვხედავდით იმას, რომ მასწავლებლები მხოლოდ „ანა-ბანას“ სწავლებით აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებსაც და თავისს თავსაც. იყო ერთი ვაჟბატონიც, რომელიც ეგრედ წოდებულის „ბუნებრივის მეთოდის“ სწავლებით აბნელებდა და აბნევდა ბავშვების ნორჩ ტვინს. იგი იმას-კი არ დაგიდევდა, რომ ბავშვებისათვის რაიმე კეთილი და გონების გამხსნელი ესწავლებინა, არამედ უნდოდა, რომ თვალ-საჩინო და საპატიო ადგილი დაეჭირა. მაგრამ, მადლობა მამა-უფალს, რომ ეს „ბუზი-ბზუილა“ თავიდან მოგვაცილა. ღმერთმა გვაშოროს ამ გვარ მასწავლებლებს! შარშან ეს სკოლა ხუთ-განყოფილებიანად გადააკეთეს და პროგრამმაც მიუმატეს. წრეულს აქ მოსწავლეთა გამოცდაზედ დავესწარი. ყველა ხუთ-განყოფილებაში მეხუთე განყოფილება უფრო იქცევდა ყურადღებას. მადლობის ღირსია მასწავლებელი ირ. წაქაძე, რომელსაც შეძლების-დაგვარად რიგიანი შრომა მიუძღვის ამ განყოფილების მიმართ. ამან ითავა მეხუთე განყოფილების მომატება. სამს განყოფილებაში იგი ასწავლიდა თებერვლამდე მარტოდ-მარტო, ხოლო თებერვალში მესამე მასწავლებელიც გამოამწესეს. ამის შემდეგ იგი ასწავლიდა მხოლოდ მეხუთე განყოფილებაში და სწორედ რომ ღირს შესამჩნევი კვალი დაუჩნევია მოსწავლეებისათვის.

სხვათა შორის უსწავლებია საქართველოს მეფეების ისტორია; მაგალითად ფარნაოზისა, გორგასლანისა, დავით აღმაშენებლისა და თამარისა, აგრეთვე „ვეფხის ტყაოსნიდგან“ ამბავი როსტევანისა, ნადირობა, ნახვა ტარიელისა სიტყვების ახსნით და მთელი „ვეფხვის-ტყაოსნის“ შინაარსი აუხსნია მოსწავლეებისათვის.

ეს სკოლა იყო ეკკლესიის ახლო, სადაც „კანცელარია“ და ათიოდე დუქანი სდგას. შენობა არ იყო ვრცელი და ამიტომ ხუთი განყოფილება ვერ მოთავსდებოდა. დაფიქრდნენ და გადასწყვიტეს აქაურებმა სკოლისათვის ახალი შენობის აგება. ყველას უნდა ესმოდეს, რომ უკეთესია სკოლა აშენდეს სოფლის შუა ალაგას და კანცელარიის მართლ-მსაჯულებამ და „დუქნურმა ფილოსოფიამ“ თავისი გავლენა არ იქონიოს მოზარდ მოსწავლეთა ნორჩ გონება-ხასიათზედ. ამასვე ამბობდა ისევ ის ილ. წაქაძე, მაგრამ ზოგიერთი წინ აღუდგა. ამას მოჰყვა გაღმა-გამოღმა სოფლის ურთიერთ შორის უთანხმოება და სოფელი ორ დასად გაიყო: გაღმა სვირს თავისკენ უნდოდა სკოლა, გამოღმას თავისკენ. იყიდეს იქვე, სადაც ძველი სკოლა იყო, 200 ოთხ-კუთხი საჟენი 500 მანეთად. საკვირველებაა! 200 ოთხ-კუთხისაჟ. 500 მანეთი?!. დაიწყეს სკოლის შენობა პირველ სკოლასთან. ამბობდნენ, რომ ეს მიწა, საცა სკოლა შე-

ნაზიის დირექტორად განმწესებულმა ბ-ნმა სტოიანოვმა სთქვა: „ჩვენ ხვალ უნდა შევუდგეთ საქმეს, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ბავშვთა სწავლა-განათლების საქმეში მარტო გიმნაზიისა და იმათის მასწავლებლების ცდა არა კმარა. საჭიროა, რომ მოსწავლეთ ოჯახშიაც დიდი ყურადღება ჰქონდეთ მიქცეული; საჭიროა, რომ მოსწავლეთა განვითარებაში მშობლები და მასწავლებელი ერთმანერთს გონივრულად უწყობდნენ ხელს. ყველა გონივრულის მსჯელობისათვის, ყველა მშობლებისა თუ მოღვაწისათვის სასწავლებლის კარი ღია იქნება და თუ დამკვიდრდა ურთი-ერთი ნდობა, რის ეჭვიც არა მაქვს, მაშინ აღზრდისა და სწავლის საქმე თავისს თავად კეთილს გზას გაიკვლევსო“. შემდეგ დამთავრებული იქმნა სამადლობელი პარაკლისი, რის შემდეგაც ქალაქის მოურავმა მიიწვია მიპატიჟებულნი დამსწრეთაგანნი ვიდრე ოთხმოცამდე კაცი, რომელთა შორის ერივნენ ორიოდე მანდილოსანნი და ადგილობრივ სასწავლებლების მასწავლებელნი, — საუზმეზე, რომელიც იქვე, გიმნაზიის შენობაში იყო გაშლილი.

ჩვეულებრივის სადღეგრძელოების შემდეგ, ბ-ნმა ასათიანმა განაგრძო:

„ეს არის ეხლა მოვიხსენიე ის კეთილ-სასიამოვნო გარემოებანი, რომლის დროსაც არსდება ბათუმის გიმნაზია. ეხლა დამშთენია ორიოდე სიტყვა ვსთქვა იმის შესახებ, ხომ არა უნდა-რა გიმნაზიას კიდევ ჩვენგან და რას გამოველით ჩვენ მასწავლებელთაგან, რომელთაც რწმუნებული აქვთ ბედ-იღბალი ჩვენის შვილებისა. გიმნაზიისათვის, ჩემ-მიერ დასახელებულ გარემოებათა გარდა, არა ნაკლებ საჭიროა, რომ გულმართლად და ყურადღებით ვეკიდეგბოდეთ. გულ-ლმობიერნი ვიყვნეთ მისთა ნაკლულევანებათა მიმართ, რაც ყოველთვის წინ უძღვის ყოველ ახალს საქმეს ადამიანის ხელით გაკეთებულს; სამართლიანად მოვექცეთ ამ გიმნაზიის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველს ამბავს, რომელსაც ხშირად ათასს კუდსა და კილოს გამოაბმენ ხოლმე; სრული რწმენა და ნდობა გვქონდეს მისი და მჭიდროდ შევაკავშიროთ მისი ბედი მოზარდ თაობის ბედთან. შევეხები ახლა მეორე საგანს. ბათუმს საზოგადოებრივ და გონებრივ განვითარების მხრივ, უტყუარად შეგვიძლიან ვთქვათ, ისტორია არა აქვს, იგი შესდგება ამას წინად სხვა-და სხვა მხრიდგან მოსულის ხალხით, რომელსაც მრავალგვარი ინტერესები ასულდგმულებს: ეკონომიური, წოდებრივი და ეროვნული; ეს ინტერესები აქ ჯერ იმდენად დონეზედ არ არის დამდგარი, თავისს კალაპოტში ჩავარდნილი, როგორც ეს სხვა ქალაქებშია, სადაც მათ შორის ისეთი საზღვარია გავლებული, რომ ერთი მეორეს არას უშლის და ინტერესს განათლებისას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ფულისა და ეროვნების ინტერესთან. აქ-კი, პირ-იქით, ეს ინტერესები გადაბმულია ერთმანეთზედ და სრულიად არეულ დარეული, მერე ისე, რომ შენდა უნებურად ამ არეულ-დარეულობის მონაწილე შენცა ხდები, ან შიში უნდა გქონდეს, რომ მისის მონაწილეობის ბრალს დაგდებენ. ვუსურვოთ მასწავლებელთ, რომ ამ ინტერესთაგან შორს იდგნენ და მთელი თავისი სული და გული მიაპყრონ მხოლოდ უმაღლესს მათგანს — სწავლა-აღზრდისას. განათლება და მეცნიერება კაცთა საუკეთესო შემაკავშირებელნი არიან. ჩვენთა თვალთა წინაშე ორი მრავალ-რიცხოვანნი კრებაა მკურნალთა და გეოლოგთა. ამ კრებაში ასობით ადამიანი სხვა-და-სხვა ქვეყნისა, სხვა-და-სხვა სარწმუნოებისა და სხვა-და-სხვა საპოლიტიკო რწმენა-აზრისა მეცნიერების წყალობით ერთ ოჯახად შეერთებულა. ვისურვოთ, რომ თანასწორ სამართლიანად ვეკიდებოდეთ გიმნაზიას და მისნი მასწავლებელნი ყოველსავე იმისს გარეშე იდგნენ, რაც იმათ პირდაპირს, სამეცნიერო საგანს არ შეადგენს.“

ამის პასუხად ბ-ნმა ა. ი. სტოიანოვმა სთქვა:

„პატივცემულის ქალაქის მოურავის სიტყვის პასუხად, იმის შესახებ, რას უნდა მოელოდდეს ბათუმის გიმნაზია აქაურ საზოგადოებისაგან და საზოგადოება — გიმნაზიისაგან, ამას მოგახსენებთ: ქალაქის საზოგადოებამ ქონებრივად მოწყობის მხრივ ყოველივე შესძლენა გიმნაზიას, რაც-კი შეეძლო. ჩვენ მხოლოდ იმასა გთხოვთ, რომ ყურადღება ჰქონდეს მიქცეული ჩვენს საქმეს და მეგობრული თანაშემწეობა გაგვიწიოთ. აი, რა უნდა იყოს გიმნაზიის საგანი. ჩვენ უნდა აღვზარდოთ და ვასწავლოთ ჩვენდამი რწმუნებულს ბავშვებსა ეროვნების განურჩევლად, იმ აზრით, რომ მათგან შევქმნათ გონიერი ხალხი, რუსეთის სახელმწიფოს პატიოსანნი მოქალაქენი და დიდის ხელმწიფის ერთგულნი ქვეშევრდომნი. მართლ-მადიდებელნი მოსწავლენი უნდა აღიზარდნენ ჩვენის ეკკლესიის დედა-აზრთა თანახმად, რასაც მუდმივ თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს გიმნაზიის სამღთო სჯულის მასწავლებელი. ჩვენს სწავლის საქმეს საძირკვლად უნდა ედვას სწავლება რუსულის ენისა, რუსულის ლიტერატურისა და ისტორიისა. ამ საგანთა გარდა, არავითარს სხვას ადგილი არ ექმნება და არ უნდა ჰქონდეს ჩვენს მოღვაწეობაში“.

ბ-ნ სტოიანოვის მიხედვით დანარჩენ სტუმრებსაც აეშალა სადღეგრძელო სიტყვის თქმისა, ბევრი ქება დიდება შესხეს მომავალ გიმნაზიას და იმისს მოღვაწეებს, მისის დაარსებისათვის თავ-გამოდებით მზრუნველებს. დალიეს სხვათა შორის, საბჭოს მდივნის ბ ნ ივ. მესხის სადღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდება, ეკკლესიისა ყოფილა. ვისგანაც ჯერ იყო, მან განაცხადა, რომ ეკკლესიის კუთვნილებაა ეს მიწაო. გაირჩა საქმე და მართალი აღმოჩნდა. სოფელს წინადადება მისცეს „მიწის ბაჟი იხადეთო", და არ ვიცი, ეხლა როგორ იქნება საქმე, სკოლების შენებას-კი ისევ განაგრძობენ...

აქაურებს ძლიერ სწყურიანთ, რომ სწავლა-განათლება შეიძინონ. ამ ხალხისათვის ძლიერ საჭიროა ეხლა „სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველო", რომელიც, უეჭველია, დიდს სარგებლობას მოუტანს. აქ კაი მოზრდილი ინტელიგენციაა და, რასაკვირველია, ამას უნდა მიექცია ამისათვის ყურადღება. მართლაც, შარშან-წინ სამმა ჩვენმა „ბუმბერაზ ინტელიგენტმა" ითავა ეს ფრიად დიდი საქმე. დიაღ, შარშან წინ იყო ეს და დღეს რას ვხედავთ? არაფერს. თურმე საქმე ითავეს მხოლოდ სიტყვით, ხოლო საქმით სხვას გარდასცეს. გარდასცეს და თითონ-კი მიიძინეს, არც-კი უხსენებიათ მას აქეთ. ამ გვარად აზრი აზრად რჩება და „წიგნთ-საცავ-სამკითხველოს" საქმე განისვენებს წიაღსა შინა აბრამისასა.

ალ. სვირიქვდელი

# რუსეთი

—

— დღემდის თევზეულობის მწარმოებელთა მიერ გარდახდილი თევზის უწეს რიგოდ დაჭერისათვის ჯარიმა და აგრეთვე წართმეულ და გაყიდულ თევზის საჭერ იარაღებისაგან შესული ფული თევზის საჭერ კასსაში 420 ათას მანეთამდის შეგროვებულა. დღეს გადაუწყვეტიათ ამ დაჯარიმებულ ფულის 25% მიემატოს თევზის საჭერ კასსის თანხას და 75% გადაიდოს ცალკე თანხის შესადგენად. ეს თანხა მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგეობაში უნდა იყოს, რომელიც დაეხმარება თევზის ხელოვნურად მომშენებელთ, თევზეულობის ქარხნების დამაარსებელთ და სხვათ.

—ფინანსთა სამინისტროს უკვე დაუმთავრებია კანონ-პროექტი სასწორებისა და საზომების შესახებ და ამ დღეებში დაეგზავნება იგი შესაფერ დაწესებულებათ თავისის აზრის გამოსათქმელად, სახელმწიფო საბჭოს-კი წარედგინება მომავალ გაზაფხულს.

— ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესი გამგეობა ამ დღეებში შეუდგა განხილვას ფოსტის მარკების კერძო ვაჭრობის სასურველ ღონეზედ დაყენების საქმისას.

— ამ ჟამად სახელმწიფო საბჭო ჰსინჯავს იმ შუამდგომლობას, რომ განთავისუფლებულ იქმნან თუ არა ქალაქები ადგილობრივის სატუსაღოების გათბობა-განათების ხარჯისაგან.

— ოქტომბრის პირველ რიცხვებიდგან კვლავ დაიწყებს მუშაობას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს სასოფლო სამეურნეო მუშაობისათვის საჭირო მუშათა დაქირავების წესების შემუშავება. კომისიამ უკვე რამდენისამე გუბერნატორისაგან მიიღო პასუხი მუშათა დაქირავების წეს რიგის შესახებ.

# უცხოეთი

—

**ეგვიპტე.** საბერძნეთისა და კრიტის საქმეების გარდა, ევროპის ჟურნალ-გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ეგვიპტის საქმის შესახებ. პარიჟის გაზ. „Politiqve Colonial"-ში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი: „პარიჟისა, ბერლინისა, ვენისა, პეტერბურგისა, რომისა და კონსტანტინეპოლის კაბინეტებს შორის დიპლომატიური მოლაპარაკება მოხდა ეგვიპტის საქმის შესახებ. ამ ახლო მომავალში პორტა საყოველთაო მიწერილობას დაჰგზავნის, რომელშიაც მოითხოვს, რომ ეგვიპტე განთავისუფლებულ იქმნას ბრიტანიის ჯარისაგან. შემდეგ ამისა ასეთსავე მიწერილობას რუსეთიც დაჰგზავნის. სახელმწიფოთა სურვილი ის არის, რომ ეგვიპტის საქმის შესახებ კონფერენცია იქმნას მომხდარი კონსტანტინეპოლს ან პეტერბურგში". ამავე აზრისანი არიან გერმანიის გაზეთებიც. იმათის სიტყვით, იმპერატორის ვილჰელმისა და პრეზიდენტის ფელიქს ფორის რუსეთში ყოფნის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ ორთა და სამთა კავშირს ერთის საგნის განსახორციელებლად საერთო ღონის ძიებანი გამოერკვიათ. ეს საგანი კი ეგვიპტის აწეწილ-დაწეწილის საქმის დამაბოლოვებელია. საეჭვოაო, რომ ინგლისმა ეხლაც გაბედოს რამე და წინააღმდეგობა გაუწიოს ევროპის სახელმწიფოთა კრებულს. არც ინგლისის გაზეთები არიან ჩუმად, ევროპას უმტკიცებენ, რომ ეგვიპტე ჩვენია და ჩვენად უნდა დარჩესო. „მაგალითად, რას ამბობს ლონდონის გაზეთი „Echo": წინად არც საზოგადოება და არც ჟურნალ-გაზეთები ყურადღებას არ აქცევდნენ ეგვიპტეს და თითქმის არაფერს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ. ხოლო ამ ბოლო დროს ყველას ყურადღება მიიპყრო და საუკეთესო ჟურნალ-გაზეთები ხმა მაღლა იმასაც ჰქადაგებენ, რომ ეგვიპტეს ინგლისი უნდა ეკუთვნოდესო. ამევე დროს ეგვიპტეში სიძულილი ინგლისის მიმართ საშინელის სისწრაფით ვრცელდება. წინად მთლად მაღალი საზოგადოება უყურებდა მტრულის თვალით ინგლისს, ხოლო ეხლახან უკანასკნელი ფელლახიც კი აღარა ჰმალავს ინგლისის მიმართ სიძულილს. ჩვენ კერძოდ ეს გარემოება, რასაკვირველია, არ გვაწუხებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ სხვებიც გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ეგვიპტეს და მხოლოდ რაიმე მიზეზს ეძებენ, რომ ხელიდგან გამოაცალონ იგიო".

# დამაკვირდი

რასაც დასაწყისი ჰქონდა იმას დასასრულიც ექმნება.

რუს. ანდაზა

* * *

რაც ადვილად გვეძლევა, ის ადვილადვე გამოგვეცლება ხელიდგან.

პაულუსი

* * *

მონებასა და შჯულს შორის ძალიან დიდი მანძილია.

ბონაპარტი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

შესაძლებელია თუ არა კაცი ცოცხალი დაიმარხოს? ზოგიერთს არა სჯერა ეს, მაგრამ ბევრს-კი გაუგონია, რომ სღათას ძილით მძინარე კაცი მკვდარი ჰგონებიათ და დაუმარხავთ. ხშირად მომხდარა, რომ მიცვალებულის საფლავი გაუთხრიათ და სამარეში უნახავთ დასახიჩრებული გვამი, მწოლარე იმ გვარად, რომ ეტყობოდა დიდი ტანჯვა გამოუვლია საფლავში გაღვიძებულს კაცს და ამ საშინელს ტანჯვაში ამოსვლია სული.

ერთს კაცს გვარად კ—ს უნახავს, რომ სღათას ძილით მძინარე კაცი უნდა დაესაფლავებინათ და კაცს ამ დროს გამოეღვიძა. ბ-ნი კ—ი ისეააღელვა ამ ამბავმა, რომ მას შემდეგ სულ იმის ფიქრში იყო, ისეთი საშუალება რამ მოვიგონო, რომ კაცი ცოცხლად არ დაიმარხოს და თუ სამარეში გამოეღვიძა, იმის გადარჩენა შეიძლებოდესო.

ბოლოს ბ-ნმა კ—მ ერთგვარი მანქანა მოიგონა. ასეთი მანქანა წინადაც იყო და ჩვენს გაზეთში აწერილიც იყო ეს მანქანა. ახალი მანქანა ბ-ნ კ—ს მიერ მოგონილი მხოლოდ იმითი განსხვავდება უწინდელ მანქანისაგან, რომ თუ ვინიცობაა სღათას ძილით მძინირე კაცს გამოეღვიძა საფლავში, იმ წამსვე მანქანა ელექტრონის ზარსა რეკავს და გარდა ამისა, თვით საფლავში ჩადის სინათლე და სუფთა ჰაერი, რომ კაცმა ისუნთქოს.

* * *

მკვდრებს თავი დავანებოთ და უფრო სასიამოვნო საგანზედ ვისაუბროთ. დიდი ხანია ადამიანი იმის ცდასა და ფიქრშია, რომ ბუნება დაიმორჩილოს როგორმე. სცდილობდა ქარი და წყალი ემუშავებინა და კარგა ხანია, რაც მართლა ამუშავებს. ქარსა და წყალს წისქვლებს ატრიალებინებს. მაგრამ ეს არ იკმარა ადამიანმა. მოიგონა ელექტრონის მანქანები და ამ მანქანების სამუშაოდ გამოიყენა, სადაც კი ჩანჩქარი იყო. მაგალითად ნიაგარის ჩანჩქარი ეხლა ელექტრონის მანქანებს ამუშავებს. ესეც არ იკმარა ადამიანმა და ეხლა თოვლი და ყინული უნდა გამოიყენოს. მთაში რომ თოვლი და ყინული დგება გაზაფხულზედ და ჩანჩქარით გადმოდის, ამიერიდგან ადამიანს ემსახურება და ელექტრონის მანქანას ამუშავებს. ეს „თეთრი ნახშირი" ძლიერ იაფი არის, და რა თქმა უნდა, ძლიერ დიდ სარგებლობასაც მოუტანს ადამიანს...

შავი ნახშირიც უფრო უკეთესად უნდა გამოიყენოს ადამიანმა. მოგეხსენებათ, რომ ქვის ნახშირი შესდგება უგლეროდისაგან და ქვისაგან. უგლეროდი იწვის და მანქანებს ამუშავებს, ქვა იწვის და ნაცრად იქცევა. ადამიანმა იფიქრა, რა სისულელეა, რომ ამ ქვის გადატანაში ფულსა ვხარჯავთ, მოდი ამ ქვის ნახშირს ადგილზედვე დავწვავთო. ახალის პროექტით, ქვის ნახშირს ადგილსავე დასწვამენ და ელექტრონის მანქანებს ამუშავებენ, ამ მანქანებიდგან-კი ელექტრონის ძალას მავთულებით წაიღებენ სადაც უნდათ და იქ სხვა მანქანას ამუშავებენ. ამ გვარად გაიმართება დიდი ქარხანა ელექტრონის ძალისა, რომელსაც, სადაც გნებავთ, იქ წაიღებთ მავთულის შემწეობით და თქვენს საკუთარს მანქანას ამუშავებთ.

* * *

დიაღ, ბევრი ახალი მანქანა გაიმართება მომავალში და ვინ იცის, რას არ მიაღწევს ადამიანის გონება. მაგრამ ურიგო არ იქმნება, ხან და ხან წარსულს მოგონებასაც გადავავლოთ ხოლმე თვალი. საფრანგეთის ფლოტის ერთმა პოლკოვნიკმა გვარად დელონემ ძველ ხელთ-ნაწერთა შორის იპოვნა ერთი მოხსენება შესახებ „ნაუსკოპიისა". ეს „ნაუსკოპია" რაღა არისო, იკითხავს გაოცებული მკითხველი. ის გახლავთ, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა კაცმა გაიგოს, თუ ვინიცობაა ზღვაში ძლიერ შორიდგან გემი მოდის, ეს ამბავი გამოიკვლია 1764 წელს ბ-მა ბოტინომ. ბოტინომ შეამჩნია ერთხელ, რომ თუ კაცმა გარიზონტს უყურა, ე. ი. იმ ადგილს, სადაც ცა ზღვას უერთდება, ყოველთვის დაინახავს „რაღაცას", თუ ვინიცობაა შორიდგან გემი მოდის. მთელის 6 წლის განმავლობაში ბოტინო სარკის შემწეობით უყურებდა გარიზონტს და თუ ვინიცობაა, გემი მოდიოდა, ყოველთვის გარიზონტზე „რაღაცა" ცვლილებას შეამჩნევდა, ბევრჯერ მომხდარა, რომ ბატინოიმ დროს გაუგია გემი მოდისო, როდესაც ეს გემი 240 ვერსის მანძილზედა ყოფილა.

მთელ 7 წელიწადს ბატინო ამ ამბავს არავის ეუბნებოდა და ბოლოს გამოაცხადა, შემიძლიან გავიგო ხოლმე გემის მოახლოვებაო. ამ ამბავმა დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა ასტეხა. მთავრობამ კომისია შეადგინა და დაავალა, აბა სცადეთ, მართლა შეიტყობს თუ არა ბატინო გემის მოახლოვებასაო. ამ დროს ბატინო ილდე-ფრანსში მსახურებდა, მეფე ლუის ნავთ-სადგურში.

კომისიამ 8 თვის განმავლობაში გამოსცადა ბატინოს საშუალება და ბოლოს დარწმუნდა, რომ ბატინოს მართლა შეუძლიან გემის მოახლოვების გაგება. მაგრამ სჯობს ყური დავუგდოთ კომისიის მოხსენებას. 1782 წელს 20 აგვისტოს ბოტინომ განაცხადა ...

გრძელო, რომელმაც პირველად შეადგინა გიმნაზიის დაარსებისათვის თხოვნა.

ვწუხვარ, რომ ყველას ნაქვამის გადმოცემა ძალიან მოუხერხებელია; ორიოდე სიტყვით რომ გადმოგცეთ, რა აღტაცებაში მოიყვანა გიმნაზიის დაარსებამ ორატორები, საკმარისია ვსთქვათ, რომ ერთის ორატორის აზრით „ჩვენს გიმნაზიას შეეძლება კავკასიაში ავაზაკობა მოსპოს, რომელიც ძალიან გახშირებულიაო". უსმინოს ღმერთმა! ნეტა თუ ასეა, რაღად აგვიანებენ და აძნელებენ გიმნაზიის დაარსებას!?. მთხოვნელები და მოთხოვნილება ხომ აუარებელია?..

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, გიმნაზიის შენობა აგებულია ბათუმის საუკეთესო ნაწილში, ზღვის პირად, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ მაგრამ, სამწუხაროდ, საპყრობილეს მეზობლად.

ქალაქმა დაუთმო 2,400 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა. ამას უნდა მოჰმატებოდა 200 საჟნამდე კიდევ სხვა ადგილი პატარა სახლით, რომელიც მომავალ გიმნაზიის ეზოში ჩაკვეხებულია და გასაფართოებლად ქალაქმა პატრონს შესაფერი ფასი შეაძლია, მაგრამ იმისმა პატრონმა შემთხვევით სარგებლობა მოიწადინა ქალაქის ქონების ბლომად ხელთ მოსაგდებად და ამის გამო საბჭომ უარი განაცხადა, ასე რომ უამადგილოდაც შესაძლებელია დიდი და მოთავსებული შენობა გაკეთდეს თავისის საკმარისის ეზოთი მომავალის გიმნაზიისათვის. ეხლა-კი ქალაქმა დათმობილს ადგილზედ დროებითი შენობა ააგო, რომელიც განსაცვიფრებელის სისწრაფით იქმნა ორთავე ნახევარში აგებული ყოველ გვარ საჰიგიენო პირობისა და სილაზათის დაცვით! ეს შენობა ეყოფა გიმნაზიას სამის წლის განმავლობაში; წრეულს იქმნა დაარსებული, მოსამზადებელ კლასების გარდა, პირველი და მეორე კლასი, ამას მომავალ სასწავლო წლიდგან მოემატება თითო კლასი რვა კლასად შესრულებამდე.

ეხლანდელი შენობა უჯდება ქალაქს 25,000 მანეთი. განზრახვა აქვთ მომავალ გიმნაზიის შენობის ასაგებად დაახარჯონ 80—90 ათასი მან. კომისიის აზრით, რომელსაც შენობის საქმე აქვს მინდობილი,—საჭიროა, რომ 640 მოსწავლის სამყოფი ორ-სართულიანი შენობა იქმნას აგებული, ამ რიცხვში 100 დღე და ღამ მყოფ მოსწავლის სამყოფელი და ზედამხედველთა და ზოგიერთა მასწავლებლების სადგომებიც. მარტო სასწავლო განყოფილება იქმნება 16. ამათ შორის 7 პარალელ კლასსებისათვის.

წრევანდელ წელს შენახვა გიმნაზიისა თვით ქალაქსა აქვს მთავრობის დაუხმარებლად ნაკისრი და პირობისამებრ ამ თავითვე წარდგენილია 15,000 მანეთი. ამას გარდა, ქალაქი უსასყიდლოდ უთმობს შენობას თავისის ეზოთი და ყოველ წლიურ უნდა აძლიოს 15,000 მანეთი. მთავრობა თავის მხრით აძლევდა მომავალ სამოსწავლო წლიდგან პირველ წელიწადს 12,222 მან., მეორე წელიწადს 16,012, მესამე წელიწადს 21,657 მან., მეოთხე წელიწადს 24,427, მეხუთე წელიწადს 28,088. მან., მეექვსე წელიწადს, 30,400 და დახურებული მეშვიდე წლიდგან ყოველ წელს 30,755. მან. იმ პირობით, რომ რაც მთავრობის შეტანილ ფულიდგან დაზოგილი იქმნება, სახელმწიფო ხაზინას უნდა დაუბრუნდეს; ქალაქის მიერ შეტანილიდგანვე თუ რამე გადარჩება, გიმნაზიის სხვა საჭიროებისათვის უნდა იქმნას მოხმარებული. ქალაქმა თავისის დაპირების შესავსებლად მამულის პატრონებს დააკისრა ორის %-ის მომატება ქალაქის გარდასახადზედ, რომელიც აქამდი 7% იყო და ახლა 9% გახდა.

აქვე არ შეგვიძლიან დიდის მადლობით არ მოვიხსენიოთ პატივცემული რუსულის ენის სიტყვიერების მასწავლებელი ბ-ნი ე. ა. ბოგოსლოვსკი, რომელმაც როცა სტუმრები გაიფანტნენ და შინაურები შინაურულად სუფრის განახლებას შეუდგნენ, გრძნობით სავსე სიტყვით აღნიშნა შეუძლებელ და ხელ-მოკლე მოსწავლეთა შესაბრალისი მდგომარეობა და მათის დახმარების საჭიროება და დასძინა, რომ საჭიროა ახლავე შევუდგეთ ამისათვის თანხისა და საზოგადოების შედგენასაო. ამ გრძნობით სავსე სიტყვებით ყველას გული აუტოკდა. ყველაზე უფრო გულჩვილობა გამოიჩინა ყველასაგან ცნობილ და პატივცემულ დეკანოზ მ. ტერ დავით იარალიანცმა, რომელიც საპატიო სტუმართა რიცხვში იყო მოწვეული ქუთაისიდგან. მან მშვენიერისავე სიტყვით განმარტა ბ-ნ ბოგოსლოვსკის სიტყვები, ამ თავით 100 მან. შეწირვა აღუთქვა და დაუმატა, ჩემ შემდეგაც მოსახსენებელ შემწეობას დავტოვებ ბათუმის გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დასახმარებლადაო. ამის შემდეგ ბ-მა სტ. ი. ზრადლოვსკიმ, როდშილდის წარმომადგენელმა, საზოგადოების სახელით 300 და თავისის მხრივ 50 მან. შესწირა, შესწირეს აგრეთვე ბ-ნთ ნ. ა. საბაევმა, ე. ბერძენიშვილმა — ას-ასი მან; ლომინაძემ — 50 მან., დანაშთენებმა, ვიდრე 40 კაცამდის, წევრებად ჩაწერა და წლიურად ხუთ-ხუთი მან. შეტანა იკისრეს. სამწუხაროა, რომ ბ-ნს ბოგოსლოვსკის ეს მშვენიერი აზრი ადრევე არ გაახსენდა.

დასასრულ მამა იარალიანცმა ბათუმის წარმომადგენლები შეუფარდა ქუთაისის საბჭოს წარმომადგენლებს და სთქვა: იქ ამისთანა საქმეებისათვის გროშს ვერ გამოამეტებინებ ქალაქის წარმომადგენლებს და აქ არა თუ გროში, გროშების შესანახი ყუთიც-კი გამოგიტანიათ, რომ სწავლა განათლების საქმეს შესწიროთო.

კრაზანა

ხადა, რომ ნავთ-სადგურისაკენ მოდის მრავალი გემი და ამ ჟამად 4 დღის სავალზედ არიანო, მაგრამ ქარი შეიცვალა და 20 აგვისტოდგან 10 სექტემბრამდე გემები ნავთ-სადგურს ძლიერ დაშორდნენ. ბატინომა სთქვა, ეს გემები პეინესი უნდა იყოს, რომელსაც ეს ორი თვეა მოველითო. ბოლოს 11 სექტემბერს ქარი ისევ შეიცვალა და ბატინომ განუცხადა კომისიას, 14 დღეზედ გემები აქ იქმნებიან, თუ კიდევ არ შეიცვალა ქარიო. მართლაც დანიშნულ დღეს, ესე იგი, 25 სექტემბერს პეიენეს ფლოტი შემოვიდა ნავთ-სადგურში. ეს კიდევ რა, წარმოიდგინეთ კომისიის გაოცება, როდესაც პეინიემაცა სთქვა, 20 აგვისტოს ჩემის გემებით როდგრიგეცის კუნძულებთან ვიყავიო, ნავთ-სადგურიდგან სულ 4 დღის სავალზეო, როგორც ბატინომა სთქვა, მერე ქარი გამოიცვალა და ნაპირს ძლიერ დავშორდიო, ხოლო 11 სექტემბერს კვლავ გამოიცვალა ქარი და წამოველით ნავთ-სადგურისაკენ. ამ გვარად, ბატინოს წინასწარმეტყველება გამართლდა.

ამ ერთის მაგალითის გარდა სხვა მრავალიცა ყოფილა და ბოტინოს ყოველთვის გაუგია ხოლმე 4—10 და 15 დღის წინად გემის მოახლოვება. ნავთ-სადგურის მთავრობა დარწმუნდა, რომ ბატინო მართლა იგებს გემის მოახლოვებასაო ¢ კარგა ბლომად დაჰპირდა ფულს, ეგ საიდუმლოება შეგვატყობინე და ამ ფულის გარდა პენსიასაც მოგცემთ, ვიდრე ცოცხალი იქმნებიო. ბატინომ უარი სთქვა. ასე ამბობდა, ჩემს საიდუმლოებას მარტო ზღვათა მინისტრს შევატყობინებო და მართლაც მოხსენება მიართვა მინისტრს. მინისტრმა ამ მოხსენებისა ვერაფერი გაიგო. თვით მოხსენებაც სხვა ქაღალდებში ამოსდეს. ბატინო-კი სიღარიბეში მოკვდა. ეხლა იმედი აქვთ, ამ მოხსენებას გამოიყენებენ.

## ახალი წიგნები

ნაფიცი ვექილი ა. ს. ფრენკელი ათავებს ამ ჟამად ფრიად საყურადღებო შრომას, რომელიც კავკასიის ყაჩაღობას შეეხება და რომელსაც სათაურად «კავკასიის ყაჩაღობის ისტორია» ეწოდება. წიგნი სამ ტომად გამოვა და თითო ტომში შემდეგი შრომა იქმნება მოთავსებული: პირველი ტომი: კავკასიაში ყაჩაღობის გაჩენა და იმის განვითარების პირობანი. ნაწილი პირველი — ყაჩაღობის ისტორიული მიზეზები; ნაწილი მეორე — ყაჩაღობის სოციალური მიზეზი; ნაწილი მესამე — ეკონომიური მიზეზები; ნაწილი მეოთხე — გარეშე ანუ შემთხვევითი მიზეზები. მეორე ტომი: აწინდელი ყაჩაღობა. ნაწილი პირველი — ყაჩაღობა მესამოცე წლებამდე; მეორე — გამოჩენილი ყაჩაღები და ყაჩაღთა დასები; მესამე — აწინდელის ყაჩაღობის დახასიათება; მეოთხე — ყაჩაღობის სტატისტიკა. მესამე ტომი: ბრძოლა ყაჩაღობასთან. ნაწილი პირველი — ქართველთა კანონები ყაჩაღობის წინააღმდეგ; მეორე — მთიულთა ადათები; მესამე — რუსეთის დასასჯელი კანონები და ადმინისტრატიული ღონისძიებანი ყაჩაღობის წინააღმდეგ; მეოთხე — საშუალებანი ყაჩაღობის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ ნაწილში თვით ავტორის აზრი და შეხედულებანია გამოთქმული.

როგორც ამ სათაურიდგანა სჩანს, ბ-ნ ფრენკელის ნაწარმოები მეტად საინტერესო და საყურადღებო უნდა იყოს. მით უმეტეს საყურადღებოა იგი ეხლა, როდესაც ყაჩაღობამ ერთი-ორად იჩინა თავი და როდესაც მან, როგორც მთავრობის, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების და საზოგადოების ყურადღება მიიქცია. ეჭვი არ არის, რომ ფრენკელის წიგნში მრავალი ცნობა იქმნება შეკრებილი ყაჩაღობის შესახებ და ეს გარემოება-კი ნათელს მოჰფენს ამ საგანს და აშკარად ჰყოფს იმ მიზეზებს, რა მიზეზებიც აჩენენ ყაჩაღობას და ხელს უწყობენ იმის განვითარებას. ამ ბოლოს დროს ჟურნალ გაზეთებში მრავალ-გვარი აზრი გამოითქვა ყაჩაღობის შესახებ. ბევრი მათგანი ერთიმეორის წინააღმდეგია. ეს გარემოება ყველაზედ ნათლად ამტკიცებს იმას, რომ საგანი არ არის სავსებით შესწავლილ-განხილული. მართლაც, ყაჩაღობა ისეთი რთული და მრავალ გვარი მოვლენაა, რომ იმის გამოსარკვევად საკმარისი არ არის პოლიციის ოქმები, არამედ საჭიროა მეცნიერული კვლევა-ძიება და ყოველ მხრივ საგნის შესწავლა. აი სწორედ ასეთს შრომას, როგორც სათაურიდგანა სჩანს, გვპირდება ბ-ნი ფრენკელი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა დიდ მთავრინებით ოლგა ნიკოლოზის ასულისა და ტატიანა ნიკოლოზის ასულითურთ 20 სექტემბერს დარმშტატში მიბრძანდნენ.

**ათინა.** ახალი სამინისტრო ზაიმისის თავმჯდომარეობით შესდგა და ხვალ ფიცს მიიღებს. სამინისტრო ასეა შემდგარი: ზაიმისი — გარეშე საქმეთა მინისტრი, გენერალი სმოლენსკი — სამხედრო მინისტრი, პოლკოვნიკი კორპასი — შინაგან საქმეთა მინისტრი, საეროვნო ბანკის დირექტორი სტრეიტი — ფინანსთა მინისტრი, ტომასი — სასჯულო საქმეთა მინისტრი, პანაგიოპულოს — საერო განათლების მინისტრი, კაპიტანი ხაჯიკირიაკოს — ზღვათა მინისტრი. დელიანისის მომხრეთა უმეტესობა დელიანისთან შეიკრიბა, საქმის ვითარების განხილვას შეუდგა და განაცხადა, ახალს სამინისტროს მაშინ დავუჭერთ მხარს, თუ ზოგიერთი ჩვენი პირობანი ასრულდაო. პარლამენტი სამშაბათს შეიკრიბება.

**ათინა.** სტრეიტმა უარი განაცხადა ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზედ. საქმეთა ვითარება ხელახლად გაჭირვებაშია. საზოგადოება უკმაყოფილებას აცხადებს. ზაიქოსსა და დელიანისს შორის სრული უთანხმოება ჰსუფევს.

**სიმლა.** ემირმა ბრძანება გასცა, რომლითაც უკრძალავს თავისს ქვეშევრდომთ ავღანისტანიდგან გასვლას და ომში მონაწილეობის მიღებას. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, 1000 რუპი გადახდება ჯარიმად.

**ბომბეი.** არაქსაის ტომთ ხელახლად მოიყარეს თავი ხანკისთან, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისელებს. აფრიდიები ორაქსაიებს არ შეუერთდნენ. ისინი ხაიბერის გასავლისკენ წავიდნენ. ჩააკანიები მაზოციებს შეუერთდნენ ინგლისელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

**ვენა.** აქ ნელიდოვი მოვიდა.

**მადრიდი.** საგასტამ სამინისტროს შედგენის წინადადება მიიღო. მინისტრები ხვალ დაფიცებულ იქმნებიან.

**კონსტანტინეპოლი.** ის ხმა, რომ ვითომც სულთანმა დაამტკიცა ზავის პირველდაწყებითი პირობების დამატებითი მუხლიო, რომელიც პატიებას შეეხება, ტყუილი გამოდგა.

**რომი.** „Tribuna“ იუწყება, რომ ინგლისელის კავენდიშის ექსპედიცია, რომელიც ორის ევროპიელისა და 90 არაკსარიისაგან შესდგებოდა და რომელსაც აზრად ნადირობა ჰქონდა, აბაშეთის ყაჩაღებისაგან დახოცილ იქმნაო.

**ათინა.** ხაჯიკირიაკოსმა მიიღო ზღვათა მინისტრის თანამდებობა. ახალი მინისტრები ხვალ მიიღებენ ფიცს.

22 სექტემბერი.

**დარმშტადტი.** რუსეთის მეფე დედოფალი მობრძანდნენ აქ 4 საათზედ, დაუხვდა დიდის ჰერცოგის გვარეულობა. პირველად გადმობრძანდა ხელმწიფე იმპერატრიცა და მეგობრულად გადაკოცნა დიდი ჰერცოგი და მისი მეუღლე; შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი მიესალმა დიდს ჰერცოგსა, მისს მეუღლეს და სხვა უავგუსტოესს წევრთ. მერე ყველანი წაბრძანდნენ ახალს სასახლეში; პირველს ეტლში ისხდნენ იმპერატრიცა და დიდის ჰერცოგის მეუღლე, მეორეში — ხელმწიფე იმპერატორი და დიდი ჰერცოგი, მესამეში — დიდნი მთავრინანი ოლგა ტატიანა ნიკოლოზის ასულნი და პრინცესა ელისაბედ ჰესენისა. ხელმწიფე იმპერატორმა ირ ინება, რომ მხედარნი და საპატიო ყარაული დახვედროდა. ქუჩები სადღესასწაულოდ იყო მორთული. ხალხი აღტაცებით მიეგება მეფე დედოფალს.

**ვენა.** აქ მობრძანდა საქსონიის მეფე, რკინის გზის სადგურზედ დაუხვდნენ: იმპერატორი ფრანც იოსები. სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი და საპატიო ყარაული. მუსიკა საერო ჰიმნს უკრავდა. მეფენი დიდის გრძნობით მიეგებნენ ერთმანეთს და ორჯერ გადაჰკოცნეს ერთმანერთი; მერე ორთავენი შებრუნში წაბრძანდნენ.

**კონსტანტინეპოლი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ საანგარიშო პალატის პრეზიდენტი თევთიქ ფაშა დანიშნულ იქმნა ფინანსთა მინისტრად, ნეზიფ-ფაშა — სადამოჟნო უწყების მთავარ-დირექტორად და ჰასან-ფეჰმი — საანგარიშო პალატის პრეზიდენტად.

უსკუბის ვილაეთში გაჩნდნენ ბულგარელთა ბრბონი.

**ათინა.** ზაიმისის კაბინეტის პროგრამას საგნადა აქვს, რაც შეიძლება მალე გათავდეს გარეშე სიფინანსო საქმე. დაბეჯითებით ამბობენ, რომ პალატა ამ პროგრამას დაეხმარებაო. მთავარი მაეროკორდატო გაგზავნილ იქმნა კონსტანტინეპოლში, რათა ოსმალეთის მთავრობას მოელაპარაკოს ზავის უკანასკნელ პარობის შესახებ. შემდეგი კრება პალატის სამშაბათს მოხდება.

**ვენა.** 21 სექტემბერს მოხდა დიდის ამბით პირველი კრება საერთაშორისო კონგრესისა შესახებ იმისა, რომ სახელოსნო წარმოების უფლებანი დაცულ იქმნენ. კონგრესში მონაწილეობას იღებს 200 დელეგატი გერმანიისა, შვეიცარიისა, რუსეთისა, ინგლისისა და შეერთებულ შტატებისაგან.


## განცხადებანი

**იმლევა ქირით**

ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის სახლში, № 21.

შუა სართულში **ა თ ი ო თ ა ხ ი**, წყლით, საბანებელით და სხვა მოწყობილობებით და ზემო სართულში **ხ უ თ ი ო თ ა ხ ი** თავისის მოწყობილობებით.

10—8

## საყურადღებოა ავადმყოფთათვის

**ვისაც ქარები აწუხებს** (იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ძვალი დასივდება), **კუჭის ავადმყოფობა, ბუასილი, ნაფაზი, სისხლნაკლებობა** და საზოგადოდ **გაციებულთათვის** ყველა ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ძლიერ კარგია სახელ-განთქმული ეგრედ წოდებული „კუზმიჩის ბალახი“ („Кузьмичева трава“), რომელიც ძლიერ ბევრი იყიდება.

ნამდვილი „კუზმიჩის ბალახი“, ახალი, დაბეჭდილი ტილოს პარკებში, ფესვებით და ნაყოფით. მაისში დაკრეფილი, მეტად-სუნელოვანი, მივიღეთ ტფილისში და იყიდება **მხოლოდ** შემდეგ სააფთიაქო მაღაზიებში: როსტომოვისა, პუშკინის ქუჩაზედ; პაპოვისა, ვარანცოვის ხიდთან; არისტაკოვებისა, ვარანცოვის ძეგლთან და მიხეილის ქუჩაზედ, სახლი № 104; იშხანოვისა; ოჰანესიანცისა (მიხეილის ქუჩა); ფოსსისა; ფირალოვისა (ოლგას ქუჩა), ჯანაგოვისა, რიყის მოედანზედ; და აფთექებში: ალმუროვისა, კამოცკისა და პერლოვის ჩაის მაღაზიაში, პუშკინის ქუჩაზედ. (4—171—4)


## ანგარიში

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 სექტემბერს 1897 წლისას.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. საზოგადოების კასსა | 2011 | 34 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 100 | - |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | 11000 | 18 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | 133401 | 35 |
| V. განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | 423 | 49 |
| VI. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 823— 70; ბ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 2917— — | 3740 | 70 |
| VII. საზოგადოების მიმდინარე ხარჯი | 6348 | 87 |
| VIII. დასაბრუნებელი ხარჯი | 208 | 16 |
| IX. მოწყობა-მომართვა | 978 | 57 |
| X. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 19 | 90 |
| XI. პროტესტში წასული თამასუქები | 400 | — |
| XXII. ანგარიში მოგებისა და ზარალისა | 1255 | 98 |
| ს უ ლ | 159888 | 54 |

**პასსივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 576 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 63022 | — |
| II. სათადარიგო თანხა | 719 | 76 |
| III. შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით 20035—19; ბ) ვადით 40190— —; გ) უვადოდ 100— — | 60325 | 19 |
| IV. მიღებული სარგებელი და კომისიის ფული, გარდახდილს გარდა | 6629 | 12 |
| V. გარდასაცემი თანხა | 7674 | 50 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი | 191 | 53 |
| VII. გადაგირავება თამასუქებისა | 21325 | — |
| VIII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | 1 | 44 |
| ს უ ლ | 159888 | 54 |
| პასუხის-მგებლობა 576 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 567198 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 11700 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | 750 | — |

(1—6.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 22-го Сентября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.